

ბანმარტეპითი ბარათი

კანონპროექტზე: „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეგანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიზების მიზეზი

კანონპროექტის გამომდინარეობს „თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტიდან, რომლის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები მურთაზ ზოდელავა და კახაბერ ანჯაფარიძე.

მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება - სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან. საქართველოს საზღვაო სივრცის დაცვას სამხედრო-საზღვაო ძალებთან ერთად ახორციელებს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი, რაც იწვევს ფუნქციათა დუბლირებას. საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, არ არის მიზანშეწონილი სახელმწიფოს ერთდროულად ჰყავდეს სამხედრო-საზღვაო ძალები და სანაპირო დაცვის სამსახური. საქართველოს პარტნიორი ქვეყნების სამხედრო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს უნდა ჰყავდეს საზღვაო სივრცის დაცვის ისეთი მობილური და ქმედითი დანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს „საზღვაო ინციდენტებზე“ და ლოკალური ხასიათის კონფლიქტური სიტუაციებზე ადექვატურ რეაგირებას. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საქართველოს საზღვაო სივრცის დაცვას უფრო ეფექტურად განახორციელებს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის საზღვაო ძალები, რომელთა შემადგენლობაში გადავა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-საზღვაო ძალებიც.

„თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ზემოაღნიშნული კანონპროექტი საჭიროებს ცვლილებებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში. ვინაიდან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილი, პარლამენტს წარუდგინოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტები, შესაბამისის ცვლილებების ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფოს საზღვაო სივრცის დაცვის უფრო ეფექტური და ქმედითი მექანიზმების შემუშავება.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს აღარ დანიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, რადგანაც სამხედრო-საზღვაო ძალები გამოდის საქართველოს სამხედრო ძალების შემადგენლობიდან და ერთიანდება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტთან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ზარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მოძიებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ზარჯებით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ზარჯებით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირობის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახადის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მოშადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ მონაწილეობდნენ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის სამსახური

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა